N 293 17/07/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 11 ივლისს ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს.

დანართი: ოქმი №10-2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ია ბარამიძე

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი №10

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 11.07.2018 წელი 12:00 საათი

შეხვერდას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ზაზა წულაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიგი გვარჯალაძე,** საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.** მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე,** მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე **ეკატერინე გუჯაბიძე,** მერის წარმომადგენელი ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში **გიგა დოლიძე,** მერიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ნინო მშვიდობაძე,** საკრებულოს საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი **მაია კუპატაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე** და ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივი მოსახლეობა.

სოფ.ნიგოითის მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ სოფელს წყლის მიწოდების პრობლემა გააჩნია. მათი თქმით დაზიანებულია წყლის სათავე-ნაგებობა, გასაწმენდია მილები. მათ ითხოვეს დახმარება ხელმძღვანელობის მხრიდან აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის **გიგა დოლიძის** თქმით, არაერთხელ იქნა გაწმენდილი წყლის მილები, მაგრამ მიუხედავად ამისა, პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

მოქალაქე ლიანა გაბედავამ აღნიშნა, რომ წყლის სათავე-ნაგებობასთან დაკავშირებული სამუშაოები უხარისხოთ იქნა შესრულებული, რაზეც მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის **ლევან ჩხაიძის** განმარტებით, აღნიშნული სამუშაოს შემსრულებელ კომპანიას მიმართეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

ადგილობრივებმა ასევე აღნიშნეს, რომ სოფელში არის გაზიფიცირების პრობლემა და გამოხატეს დაინტერესება თუ როდის მოგვარდებოდა აღნიშნული საკითხი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით უმოკლეს ვადაში მოხდება აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ადგილობრივების თქმით დაზიანებულია და რეაბილიტაციას საჭიროებს სასაფლაოსთან მისასვლელი გზა. ასევე მოსაწესრიგებელია საყანე ფართობებთან მისასვლელი შიდა გზები.

მოქალაქე მარინა გოგეშვილმა აღნიშნა, რომ სოფელში არსებული ღელე საჭიროებს გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას და ასევე გაბიონის მოწყობას.

ადგილობრივი მოსახლეობის მწვავე პრობლემას წარმოადგენს აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ დაწყებულია შეწამვლითი სამუშაოები, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს და მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება.

სოფ. ჩოლობარგის მაცხოვრებელმა ავთანდილ კეჭახმაძემ აღნიშნა, რომ შესაკეთებელია ჩოლობარგისა და ჭანჭათის დამაკავშირებელი სამანქანო გზა, სადაც 12 ოჯახს აქვს ციტრუსის ბაღი. მათი თქმით გზა ისე არის დაზიანებული, რომ ვერ ახერხებენ ციტრუსის მოსავლის გამოტანას, ასევე ზამთრისთვის შეშის გამოტანას და ითხოვეს დახმარება ხელმძღვანელობის მხრიდან. სოფლის მაცხოვრებლება ასევე აღნიშნეს, რომ სოფელს აქვს გაზიფიკაციის პრობლემა.

მოქალაქე კუკური გოგეშვილმა აღნიშნა, რომ მთელი ღამის განმავლობაში გადაადგილდებიან ჩინური კომპანიის სატვირთო ავტომობილები, რის შედეგადაც ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მტვერი დგება. მოსახლეობა ითხოვს დახმარებას, რათა მოხდეს ტერიტორიის მორწყვა.

სოფ. ჭყონაგორის მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ მათ საერთო პრობლემას წარმოადგენს წყალმომარაგებისა და გაზიფიცირების საკითხი.

მოქალაქე გულიკო ორმოცაძე სოფ. ჭყონაგორის ყოფილი ბაღის შენობაში ითხოვს ორ ოთახს, სადაც მისი თქმით განთავსდება ბიბლიოთეკა, რაზეც ხელმძღვანელობამ განმარტა, რომ საკითხი გატანილი იქნება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

სოფ.ჭყოაგორის მოსახლეობა სოფელში ასევე ითხოვს მინი სტადიონის მოწყობას.

სოფ. ქვიანის მოსახლეობამ აღნიშნა, რომ მათ სოფელსაც აქვს წყალმომარაგების პრობლემა, რეაბილიტაციას საჭიროებს წყლის სათავე-ნაგებობა.

მოქალაქე იმედო ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ ავარიულ მდგომარეობაშია მისი საცხოვრებელი სახლის სახურავი და შესაძლებლობის ფარგლებში ხელმძღვანელობის მხრიდან ითხოვა დახმარება.

სოფ.ჯაპანის მოსახლეობის საერთო პრობლემას ასევე წარმოადგენს გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების საკითხი. მათი თქმით მოსაწესრიგებელია სოფლის შიდა გზებიც. ისინი ასევე ითხოვენ კვირაში ერთი დღე სოფელს მოემსახუროს ექთანი.

ჯაპანის მოსახლეობა ითხოვს სიჩქარმზღუდის (ე.წ. მწოლიარე პოლიციელების) დაყენებას.
მოქალაქე ლალი ქორიძემ აღნიშნა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის სახურავი არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს შეცვლას, რომლის სახსრებიც მას არ გააჩნია და ხელმძღვანელობის მხრიდან შესაძლებლობის ფარგლებში ითხოვა დახმარება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე : ბესიკ ტაბიძე